

# კერძო უმაღლესი განათლება საქართველოში — სტრუქტურა, პროგრამები, შეთავაზებები

ანალიტიკური ბიულეტენი

**ბიულეტენი გამოიცემა ქართველი ხალხის  
შემონირულობითა და მხარდაჭერით.**

**სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეროვნებათშორისი ურთიერთობების ცენტრი აგრძელებს კვლევით და საგანმანათლებლო საქმიანობას. თუ ჩვენი კვლევითი, ანალიტიკური და საგანმანათლებლო რესურსები მნიშვნელოვნად მიგაჩნიათ, შეგიძლიათ შემონირულობით გააძლიეროთ ჩვენი საქმიანობა. ნებისმიერი გამოხატული მხარდაჭერა ძვირფასია ჩვენთვის. ნებისმიერი ოდენობის შემონირულობის გადმორიცხვა შესაძლებელია შემდეგ საბანკო ანგარიშზე:**

**საქართველოს ბანკი: GE69BG0000000281111000**

**მიმღები: სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეროვნებათშორისი ურთიერთობების ცენტრი.**

# შინაარსი

შესავალი

კერძო უნივერსიტეტების ხუთი საბაზრო სეგმენტი

კერძო საგანმანათლებლო ბაზრის დარგობრივი გადანაწილება

ინგლისურენოვანი პროგრამები

ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულება

სამართლის პროგრამები

კომპიუტერული მეცნიერებები

ფსიქოლოგია

საერთაშორისო ურთიერთობების და პოლიტიკის მეცნიერებები

მედიცინის მიმართულება

ჰუმანიტარული მეცნიერებები

მშენებლობა, არქიტექტურა და დიზაინი

ეკონომიკა და საჯარო მმართველობა

ჟურნალისტიკა და კომუნიკაცია



# შესავალი

ბიულეტენის მიზანია საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლება და აბიტურიენტებისა და მათი მშობლების ინფორმირება უმაღლესი განათლების კერძო სექტორში არსებული შეთავაზებების შესახებ.

დოკუმენტი ეყრდნობა უახლეს მონაცემებს, რომელთა საფუძველზეც ხდება ინსტიტუციური სტრუქტურის, პროგრამების რაოდენობის, სტუდენტთა ადგილების, მიმართულებების და საფინანსო პოლიტიკის შეფასება.

უმაღლესი განათლების კერძო სექტორი აბიტურიენტებს წარმოუდგენს არჩევანს 36 უნივერსიტეტსა და 312 აკადემიურ პროგრამას შორის. ამ პროგრამებზე გამოცხადებულია 15,216 ვაკანსია.

საქართველოს კერძო უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამებზე სწავლის ფასების განაწილებამ ხუთი მკაფიო საბაზრო სეგმენტი მოიცვა. ეს სეგმენტები ერთმანეთისგან განსხვავდებიან არა მხოლოდ სწავლის საფასურით, არამედ სამიზნე აუდიტორიით, საერთაშორისო ამბიციითა და სარეკლამო მოდელით.



**36**

კერძო  
უნივერსიტეტი

**312**

აკადემიური  
პროგრამა

**15,216**

გამოცხადებული  
ვაკანსია

უმაღლესი განათლების კერძო სექტორი აბიტურიენტებს წარმოუდგენს არჩევანს 36 უნივერსიტეტსა და 312 აკადემიურ პროგრამას შორის. ამ პროგრამებზე გამოცხადებულია 15,216 ვაკანსია.

# კერძო უნივერსიტეტების ხუთი საბაზრო სეგმენტი

## ◆ სუბსიდირებული, საპატრიარქოს მიერ დაფინანსებული სეგმენტი (0 – 2,300 ლ).

ამ კლასტერის წამყვან ძალას წარმოადგენს საქართველოს საპატრიარქოს დაქვემდებარებაში მყოფი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები. მათი საფინანსო პოლიტიკა არ ექვემდებარება კლასიკურ საბაზრო კონკურენციას და ხშირად ემთხვევა სახელმწიფო ვაუჩერის ნომინალურ ღირებულებას (2,250 ლ), რომელიც არსებობდა 2025 წლის ოქტომბერში შემოთავაზებულ „რეფორმამდე“. ეს სეგმენტი სამი უნივერსიტეტის სახით არის წარმოდგენილი, შუახევში არსებული ა.ი.პ საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერიძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტი (შუახევი) რომელში სწავლაც სრულად ფინანსდება საპატრიარქოს მიერ და ეს უნივერსიტეტი აცხადებს მიღებას 8 პროგრამაზე (752 ადგილით); მეორე გახლავთ ა.ი.პ საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის უნივერსიტეტი თბილისში, სადაც, ასევე, 8 პროგრამაზე ცხადდება მიღება (670 ადგილით), თუმცა აქ სწავლის გადასახადი საშუალოდ 2275 ლარია; მესამეა საქართველოს საპატრიარქოს წმიდა თამარ მეფის სახელობის უნივერსიტეტი, რომელიც ფსიქოლოგიისა და მედიცინის მიმართულებებზე ფოკუსირდება და აბიტურიენტებს სთავაზობს 5 შესაბამის პროგრამას 99 მისაღები სტუდენტით და სწავლის საშუალო საფასურით - 2200 ლარის ოდენობით.

## ◆ საშუალოზე დაბალი გარდამავალი სეგმენტი (2,300 – 3000 ლ)

ამ სეგმენტში ოპერირებენ ისეთი უნივერსიტეტები, როგორებიცაა ახალი უმაღლესი სასწავლებელი ნიუნი, აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი სულხან საბა ორბელიანის უნივერსიტეტი, შპს საქართველოს საერთაშორისო უნივერსიტეტი - ჯიუ, ალტე უნივერსიტეტი. მათი საფასო დიაპაზონი მერყეობს 2300-დან 3000 ლარამდე. ისინი გვთავაზობენ დაბალანსებულ საგანმანათლებლო პროდუქტს, სადაც აქცენტი კეთდება მასობრივი დარგების ხელმისაწვდომ მიზნობაზე.

## ◆ საშუალო მასობრივი სეგმენტი (3000 – 5000 ლ)

ეს არის ბაზრის კომერციული „გული“, სადაც განთავსებულია საკმაოდ მსხვილი სტუდენტური კონტინენტის მქონე სასწავლებლები: ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტი, აგრარული უნივერსიტეტი, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი, საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი, ნეუ - ეროვნული საგანმანათლებლო უნივერსიტეტი, ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტი, გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი, ნიუ ვიუენ უნივერსიტეტი, მაკი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი, უნივერსიტეტი ალტერბრიჯი, შპს ევროპის ცენტრალური უნივერსიტეტი, საქართველოს უნივერსიტეტი... მათი პოზიციონირება ეყრდნობა მასშტაბის ეკონომიკას (Economies of Scale) — მსხვილი. ინფრასტრუქტურა და მაღალი სტუდენტური კვოტები საშუალებას აძლევთ, შეინარჩუნონ საშუალო საფასო ბარიერი მაღალი რენტაბელობის პირობებში.

# კერძო უნივერსიტეტების ხუთი საბაზრო სეგმენტი

## ◆ პრემიუმ სეგმენტი (5000+ – 10,000 ლ)

ამ სეგმენტის გამოკვეთილი მოთამაშეები არიან საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი (ჯიპა), ევროპის უნივერსიტეტი, შპს - თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი, შპს - კავკასიის უნივერსიტეტი. მიუხედავად მაღალი საფასო ბარიერისა, ეს ინსტიტუციები ინარჩუნებენ სტუდენტთა მზარდ ნაკადებს მაღალი რეპუტაციული კაპიტალისა და კურსდამთავრებულთა დასაქმების ექსკლუზიური მაჩვენებლების ხარჯზე. ფასების ამავე სეგმენტში შედიან სპეციალიზებული სამედიცინო მიმართულებების თუ საერთაშორისო პროგრამების მქონე უნივერსიტეტები.

## ◆ ელიტარული ნიშა (10000 ლ და ზემოთ)

სეგმენტი მოიცავს საერთაშორისო ფილიალებს, მედიცინის მიმართულებაზე ფოკუსირებულ ინგლისურენოვან პროგრამებს (მაგ. ვებსტერის უნივერსიტეტი, ბრიტანული უნივერსიტეტი, კევ ვოლკერის საერთაშორისო უნივერსიტეტი, კავკასიის უნივერსიტეტის ზოგიერთ ორმაგი დიპლომის პროგრამა) და ვინროპროფილურ სამედიცინო სკოლებს (BAU, დავით ტვილდიანის აკადემია, ბაუ ინტერნეიშენალ უნივერსიტი (ბათუმი), პეტრე მოთაძის სახელობის თბილისის სამედიცინო აკადემია. აქ სწავლის საფასური ხშირად აღარბებს 10,000 ლარს და ორიენტირებულია თითქმის ექსკლუზიურად ლოკალურ ზე-მაღალშემოსავლიან კლასზე.

⇒ ლ 0-2,300


⇒ ლ 2,300-3,000

⇒ ლ 3,000-5,000

⇒ ლ 5,000+ - 10,000

⇒ ლ 10,000+

## სამუშაო ფასი პროგრამაზე



ანალიზმა გამოავლინა ოთხი რადიკალურად განსხვავებული შიდა საფასო არქიტექტურა: აკადემიური პორტფელის მართვის ოთხი სტრატეგიული ტიპი:

1) **მულტიპროფილური დივერსიფიკაცია** (მაგ. კავკასიის უნივერსიტეტი): მოქმედებს ფართო საფასო დიაპაზონი (5,990 ლარიდან 21,500 ლარამდე). უნივერსიტეტი ფარავს როგორც ლოკალურ მასობრივ, ისე პრემიუმ და საერთაშორისო ბაზარს ერთდროულად.

2) **კონცენტრირებული სტანდარტიზაცია** (მაგ. თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი): პროგრამებს მორის საფასო სხვაობა მინიმალურია (6,950 ლ - 8,500 ლ). შენარჩუნებულია ერთიანი, ელიტარული ინსტიტუციური იმიჯი.

3) **უნიფიცირებული ტარიფი და სპეციალიზებული პროგრამების გამოკვეთილი იმიჯი** (მაგ. ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტი - BTU): ყველა პროგრამაზე მოქმედებს თითქმის იდენტური საფასური - 2650-3950 ლარამდე, რაც ამარტივებს მარკეტინგს და მაქსიმალურად ეფექტურს ხდის კონკრეტულ (STEM) და ბიზნესის მიმართულებაზე ფოკუსს;

4) **მეტ-ნაკლებად უნიფიცირებული ტარიფი და პროგრამების მრავალფეროვნება** - შავი ზღვის უნივერსიტეტი, საქართველოს უნივერსიტეტი, საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი და სხვა.

მონაცემთა ანალიზი აჩვენებს, რომ კერძო უმაღლესი განათლების სექტორი ხასიათდება მაღალი ასიმეტრიულობითა და ბაზრის კონცენტრაციის მკაფიო ნიშნებით. საერთო ჯამში, შესწავლილი 36 დაწესებულება ფლობს 15,216 მისაღებ ადგილსა და 312 საგანმანათლებლო პროგრამას, თუმცა მათი გადანაწილება რადიკალურად არათანაბარია.

- 1. მასობრივი დივერსიფიკაციის მოდელი:** ბაზრის აბსოლუტურ ლიდერად ვლინდება კავკასიის უნივერსიტეტი, რომელიც ახორციელებს როგორც სტუდენტთა ნაკადის (1,945 ადგილი), ისე აკადემიური კორტჯელის (41 პროგრამა) მაქსიმალურ გენერირებას. მას მოსდევს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი (1,225 სტუდენტი / 28 პროგრამა). ეს ინსტიტუციები იყენებენ „უნივერსალური ჰაბის“ სტრატეგიას, რაც გულისხმობს მასშტაბის ეკონომიის (Economies of Scale) მიღწევას ფართო აკადემიური შეთავაზებების ხარჯზე.
- 2. კონცენტრირებული ეფექტურობის მოდელი:** განსაკუთრებით საინტერესო ფენომენს წარმოადგენენ ორგანიზაციები, რომლებიც უარს ამბობენ პროგრამულ დივერსიფიკაციაზე, თუმცა აჩვენებენ სტუდენტთა მოზიდვის მაღალ კოეფიციენტს. მაგალითად, ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტი (BTU) მხოლოდ 6 პროგრამით ახერხებს 800 სტუდენტის მიღებას, ხოლო თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი 10 პროგრამით – 630 სტუდენტის მოზიდივებას. ეს მიაწინებს ვინრო, მაგრამ მაღალმოთხოვნად (ძირითადად STEM და ბიზნესის) მიმართულებებზე ფოკუსირებაზე, რაც უზრუნველყოფს პროგრამულ ეფექტურობასა და ბრენდის ძლიერ პოზიციონირებას.
- 3. ნიშური და სპეციალიზებული მოდელი (Niche/Boutique Providers) მცირე კონტიგენტით:** გრაფიკის ქვედა სეგმენტს წარმოადგენს, სადაც თავმოყრილია მცირე მასშტაბის, სპეციალიზებული სასწავლებლები (მაგ. გიორგი მთაწმინდელის სახელობის გალობის უნივერსიტეტი, პეტრე მოთაძის მედიცინის აკადემია, ავიცენა, აღმოსავლეთ-დასავლეთ უნივერსიტეტი და სხვ.). მათი კვოტები 15-დან 45 სტუდენტამდე მერყეობს და ხშირად მხოლოდ 1 ან 2 პროგრამით შემოიფარგლება. ეს მიუთითებს უაღრესად სპეციალიზებულ, ელიტარულ ან ნიშურ ბაზარზე, სადაც კონკურენტული უპირატესობა მიიღწევა არა მასშტაბით, არამედ ვინრო პროფილური ექსკლუზიურობით.
- 4. ნიშური და სპეციალიზებული მოდელი მაღალი მოთხოვნით - აგრარული უნივერსიტეტი და ჯიპა.**
- 5. მულტიპროფილური უნივერსიტეტები მაღალი მიღებითა და გასაშუალებული ფასებით** (საქართველოს უნივერსიტეტი, საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი, შავი ზღვის უნივერსიტეტი, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი).

**36**

კერძო უნივერსიტეტი

**312**

აკადემიური პროგრამა


**15,216**

გამოცხადებული ვაკანსია

უმაღლესი განათლების კერძო სექტორი აბიტურიენტებს წარმოუდგენს არჩევანს 36 უნივერსიტეტსა და 312 აკადემიურ პროგრამას შორის. ამ პროგრამებზე გამოცხადებულია 15,216 ვაკანსია.


## კერძო უმაღლესი სასწავლებლების სტრატეგიული პროფილირება: მისაღები ადგილებისა და საგანმანათლებლო პროგრამების ინტერსექცია

საგანმანათლებლო პროგრამების რაოდენობა



# კერძო საგანმანათლებლო ბაზრის დარგობრივი გადანაწილება

## კერძო უნივერსიტეტების პროგრამები მიმართულებების მიხედვით



# კერძო საგანმანათლებლო ბაზრის დარგობრივი გადანაწილება

მონაცემები ასახავს კერძო უნივერსიტეტების მიერ გამოცხადებული ადგილების (კვოტების) რეალურ გადანაწილებას დარგობრივ ჭრილში, რაც წარმოადგენს კერძო სექტორის აკადემიურ რუკას.

მონაცემები ცხადყოფს, რომ ბიზნესი და ადმინისტრირება (23%), ინფორმატიკის, საინფორმაციო ტექნოლოგიებისა და კომპიუტერული მეცნიერებების მიმართულება (13%) და სამართალი (11.0%) ერთად ბაზრის თითქმის ნახევარს (47%) შეადგენს. ეს არის კერძო სექტორის საოპერაციო საყრდენი. ამავე დროს, ინფორმაციული ტექნოლოგიების (IT) მაღალი წილი (13%) მიუთითებს ბაზრის სწრაფ ადაპტაციაზე გლობალურ ციფრულ მოთხოვნებთან, რაც მნიშვნელოვნად უსწრებს ტრადიციულ ინჟინერიასა და მშენებლობას (4.0%). თვალსაჩინოდ მაღალია ფსიქოლოგიის მიმართულების ხვედრითი წილი, რომელიც მედიცინას უთანაბრდება, ხოლო საერთაშორისო ურთიერთობებისა და პოლიტიკური მეცნიერებების, ეკონომიკისა და საჯარო მმართველობის სექტორს აჭარბებს კიდევ.


ყველაზე მცირე წილით წარმოდგენილია ფუნდამენტური მეცნიერებები, კერძოდ - ზუსტი და საბუნებისმეტყველო მეცნიერებები. ეს მიუთითებს იმაზე, რომ კერძო საგანმანათლებლო კაპიტალი თავს არიდებს ისეთ სექტორებს, სადაც ინფრასტრუქტურული დანახარჯი ერთ სტუდენტზე მაღალია, ხოლო კომერციული მოთხოვნა – დაბალი. პროგრამებში საერთოდ არ გვხვდება მასწავლებელთა განათლების პროგრამები გარდა ერთი უნივერსიტეტის მიერ შეთავაზებული სკოლამდელი განათლების მასწავლებლის მომზადების პროგრამისა.

# ინგლისურენოვანი პროგრამები



საქართველოს კერძო უმაღლესი განათლების სექტორში ინგლისურენოვანი პროგრამები წარმოადგენს სწრაფად მზარდ, თუმცა სტრუქტურულად სპეციფიკურ სეგმენტს, რომელიც ერთდროულად ასახავს როგორც ინტერნაციონალიზაციის პროცესებს, ისე უნივერსიტეტების ეკონომიკურ და სტრატეგიულ მოდელებს. ინგლისურენოვანი პროგრამები მნიშვნელოვანი მახასიათებელია კერძო უნივერსიტეტების შეთავაზების. მთლიანობაში საქართველოში არსებული საბაკალავრო საფეხურზე შეთავაზებული 127 ინგლისურენოვანი პროგრამიდან 90 პროგრამა (70%-ზე მეტი) სწორედ კერძო უნივერსიტეტებზე მოდის. ამასთანავე, ინგლისურენოვანი პროგრამები კერძო უნივერსიტეტების მიერ შეთავაზებული პროგრამების 28,8%-ს შეადგენს (312 პროგრამიდან 90 ინგლისურენოვანია), რაც აშკარად მნიშვნელოვან და ნიშურ სეგმენტს ქმნის კერძო უნივერსიტეტთა შეთავაზებაში. წარმოდგენილი მონაცემების მიხედვით, ინგლისურენოვანი პროგრამები გვხვდება 36 კერძო უნივერსიტეტიდან 23-ში, რაც მიუთითებს, რომ ინსტიტუციათა დაახლოებით ორი მესამედი უკვე ჩართულია საბაკალავრო საფეხურზევე ინგლისურენოვანი პროგრამების შეთავაზების საგანმანათლებლო ბაზარში.

### ინგლისურენოვანი პროგრამების ხვედრითი წილი



ამავდროულად, რაოდენობრივი განაწილება აჩვენებს არსებით დისპროპორციას: 312 აკადემიური პროგრამიდან 90 არის ინგლისურენოვანი (დაახლოებით 28.8%), მაშინ, როდესაც 15,216 სტუდენტური ადგილიდან მხოლოდ 2,343 ადგილი მოდის ამ პროგრამებზე (დაახლოებით 15.4%). ეს განსხვავება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რადგან მიუთითებს არა მხოლოდ რაოდენობრივ, არამედ სტრუქტურულ თავისებურებაზე: ინგლისურენოვანი პროგრამები, საშუალოდ, თითქმის ორჯერ ნაკლებ სტუდენტს იღებენ, ვიდრე სისტემის საშუალო.

ეს ნიშნავს, რომ ინგლისურენოვანი პროგრამები ფუნქციონირებს არა როგორც მასობრივი განათლების ფორმა, არამედ როგორც შედარებით მცირე, უფრო სელექციური სასწავლო ერთეულები. ამგვარი მოდელი, როგორც წესი, უკავშირდება პროგრამების უფრო მაღალ ხარისხობრივ მოთხოვნებს, საერთაშორისო აკადემიურ სტანდარტებსა და მიზნობრივ სტუდენტურ ბაზაზე ორიენტაციას.

## ◆ უნივერსიტეტების სტრატეგიული პოზიციონირება

უნივერსიტეტების ჭრილში იკვეთება ინგლისურენოვანი პროგრამების გამოყენების ოთხი განსხვავებული სტრატეგია:


პირველ ჯგუფს წარმოადგენენ ინსტიტუციები, რომლებიც მთლიანად ორიენტირებულნი არიან **ინგლისურენოვან სწავლებაზე**. მაგალითად, ბრიტანული უნივერსიტეტი, Webster-ის ფილიალი, BAU და რამდენიმე სამედიცინო უნივერსიტეტი, სადაც პროგრამების 100% ინგლისურენოვანია. ამ უნივერსიტეტებში ინგლისური წარმოადგენს არა ალტერნატივას, არამედ ძირითად სამუშაო ენას, რაც მიუთითებს მათ მკაფიო პოზიციონირებაზე როგორც საერთაშორისო საგანმანათლებლო მოთამაშეებზე.

მეორე ჯგუფში შედიან **ჰიბრიდული მოდელის უნივერსიტეტები**, როგორიცაა კავკასიის უნივერსიტეტი (46%), შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი (50%) და ნიუ ვიუენ უნივერსიტეტი (80%). ამ ინსტიტუციებში ინგლისურენოვანი პროგრამები თანაარსებობს ქართულენოვან პროგრამებთან და გამოიყენება როგორც ლოკალური ინტერნაციონალიზაციის თუ საერთაშორისო სტუდენტების მოზიდვის, ასევე ინსტიტუციური დივერსიფიკაციის ინსტრუმენტი.

მესამე ჯგუფს წარმოადგენენ უნივერსიტეტები, სადაც ინგლისურენოვანი პროგრამები შედარებით **მცირე ნილს იკავებს** (20–30%-მდე ან ნაკლები), რაც მიუთითებს იმაზე, რომ ინტერნაციონალიზაცია საბაკალავრო საფეხურზე მათი ძირითადი სტრატეგიული მიმართულება არ არის და ისინი მაინც ადგილობრივ ბაზარზე არიან ორიენტირებული.

მეოთხე ჯგუფი გახლავთ ბაზარზე მოქმედი 13 უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება, რომლებიც ქართველ აბიტურიენტებს **არ სთავაზობენ საბაკალავრო საფეხურზე ინგლისურენოვან პროგრამებს**, თუმცა მათ ნაწილს აქვთ დიპლომირებული მედიკოსის ინგლისურენოვანი პროგრამები საერთაშორისო სტუდენტებისთვის ან/და სამაგისტრო და სადოქტორო ინგლისურენოვანი პროგრამები.

## კერძო უნივერსიტეტებში ინგლისურენოვანი პროგრამების შეფარდება პროგრამების საერთო რაოდენობასთან საბაკალავრო საფეხურზე




### ◆ მიმართულებითი კონცენტრაცია: გლობალურად მობილური პროფესიები

ინგლისურენოვანი პროგრამების განაწილება მიმართულებების მიხედვით არ არის შემთხვევითი. განსაკუთრებით მაღალი კონცენტრაცია ფიქსირდება შემდეგ სფეროებში:

- მედიცინა
- ბიზნესის ადმინისტრირება
- საინფორმაციო ტექნოლოგიები
- საერთაშორისო ურთიერთობები და დიპლომატია
- გრაფიკული დიზაინი და არქიტექტურა

ეს მიმართულებები ხასიათდება მაღალი საერთაშორისო მობილობით და ძრომის ბაზრის გლობალური ინტეგრაციით, რაც ზრდის მოთხოვნას უცხოენოვან განათლებაზე. შესაბამისად, ინგლისურენოვანი პროგრამები ამ სფეროებში ასრულებს „საერთაშორისო არხის“ ფუნქციას, რომელიც სტუდენტებს აძლევს გლობალურ კარიერულ შესაძლებლობებზე წვდომას.

## ინგლისურენოვანი პროგრამები მიმართულებების მიხედვით



### ◆ საფასო პოლიტიკის სტრუქტურა: პოლარიზებული ბაზარი

ინგლისურენოვანი პროგრამების ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი მახასიათებელია ფასების მკვეთრი დივერსიფიკაცია. წარმოდგენილი მონაცემები აჩვენებს, რომ ფასები მერყეობს დაახლოებით 2,500 ლარიდან 21,500 ლარამდე.

ამ სპექტრში იკვეთება ორი მკვეთრი პოლუსი:

- **დაბალფასიანი სეგმენტი** (2500–4000 ლარი) — წარმოდგენილია ისეთ უნივერსიტეტებში, როგორებიცაა Alte ან ნიუ ვიჟენი.
- **პრემიუმ სეგმენტი** (8000–21,500 ლარი) — წარმოდგენილია კავკასიის უნივერსიტეტის ორმაგდიპლომიან პროგრამებში და Webster-ის პროგრამებში, რომლებიც უკვე ინტეგრირებულია საერთაშორისო განათლების ბაზარში.

საინტერესოა, რომ უნივერსიტეტებს განსხვავებული მიდგომები აქვთ ინგლისურენოვანი პროგრამების განფასებისას. უნივერსიტეტთა ნაწილში ქართულენოვან და ინგლისურენოვან პროგრამებზე სწავლის საფასური არ განსხვავდება ერთმანეთისგან (მაგალითად, კავკასიის უნივერსიტეტი, შავი ზღვის უნივერსიტეტი), თუმცა უნივერსიტეტების მეორე ნაწილს ინგლისურენოვან პროგრამებზე განსხვავებული, უფრო გაზრდილი ფასი აქვთ ქართულენოვან პროგრამებთან შედარებით, თვითღირებულების გაზრდილი მაჩვენებლიდან გამომდინარე.

## ◆ ინგლისურენოვანი პროგრამების ეკონომიკური ფუნქცია

მოცემული მონაცემების ინტეგრირებული ანალიზი აჩვენებს, რომ ინგლისურენოვანი პროგრამები არ წარმოადგენს უბრალოდ ლინგვისტურ ალტერნატივას, არამედ ასრულებს რამდენიმე სტრატეგიულ ფუნქციას:

1. **ინტერნაციონალიზაცია** — უცხოელი სტუდენტების მოზიდვა ქართველ სტუდენტებთან ერთად;
2. **შემოსავლების დივერსიფიკაცია** — განსაკუთრებით პრემიუმ პროგრამების შემთხვევაში;
3. **ბრენდინგი და სტატუსი** — საერთაშორისო პარტნიორობასთან დაკავშირებული პროგრამები ზრდის უნივერსიტეტის რეპუტაციას;
4. **აკადემიური მოდერნიზაცია** — დასავლური სასწავლო სტანდარტების ინტეგრაცია;
5. **ქართველი სტუდენტების მოზიდვა**, რადგან ინგლისურენოვან პროგრამებს ხარისხთან და დასაქმებასთან მიმართებით უფრო პოზიტიური აღქმა აქვთ აბიტურიენტებში, პრესტიჟულობა მაღალია და ელიტურობის ნიშნებსაც ატარებს.

ინგლისურენოვანი პროგრამები საქართველოს კერძო უმაღლეს განათლებაში არის მაღალი სტრატეგიული მნიშვნელობის მქონე, თუმცა **სტრუქტურულად არათანაბრად განვითარებული** სეგმენტი. პირველი, მათი წილი პროგრამების რაოდენობაში მნიშვნელოვნად აღემატება მათ წილს სტუდენტთა ადგილებში, რაც მიუთითებს მცირე ჯგუფებზე და სელექციურ მოდელზე.

მეორე, **ბაზარი მკვეთრად პოლარიზებულია** — დაბალფასიანი და პრემიუმ პროგრამები თანაარსებობს, მაშინ, როდესაც საშუალო სეგმენტი შედარებით ნაკლებადაა გამოკვეთილი. მესამე, პროგრამები კონცენტრირებულია იმ მიმართულებებში, რომლებიც დაკავშირებულია გლობალურ შრომის ბაზართან, რაც კიდევ უფრო აძლიერებს მათ სტრატეგიულ მნიშვნელობას.

საბოლოოდ, ინგლისურენოვანი პროგრამები უნდა განვიხილოთ არა როგორც დამატებითი სერვისი, არამედ, როგორც კერძო უმაღლესი განათლების სექტორის ერთ-ერთი **განვითარების ძირითადი მექანიზმი**, რომელიც განსაზღვრავს როგორც ფინანსურ, ისე ინსტიტუციურ კონკურენტუნარიანობას.

**ბიზნესის ადმინისტრირების  
მიმართულება კერძო უმაღლეს  
განათლებაში:**

**სტრუქტურა, ბაზარი და საფასო  
პოლიტიკა**



ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულება წარმოადგენს საქართველოს კერძო უმაღლესი განათლების სისტემაში ერთ-ერთ **ყველაზე მასშტაბურ და სტრუქტურულად განვითარებულ საგანმანათლებლო სფეროს**. აღნიშნული მიმართულების ანალიზი ცხადყოფს, რომ იგი არა მხოლოდ რაოდენობრივი დომინაციის მატარებელია, არამედ გამოირჩევა შიდა დიფერენციაციით – პროგრამების ტიპების, სტუდენტთა ადგილების განაწილებისა და საფასო პოლიტიკის მიხედვით.

პირველ რიგში, მონაცემების მიხედვით იკვეთება სტუდენტური კონტინენტის მკვეთრი **კონცენტრაცია კონკრეტულ უნივერსიტეტში**. მაგალითად, კავკასიის უნივერსიტეტში ბიზნესის ადმინისტრირების პროგრამაზე გამოყოფილია 270 ადგილი, საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტში - 250 ადგილი და თავისუფალ უნივერსიტეტში - 180 ადგილი. ამასთანავე, რამდენიმე პროგრამა 100-ზე მეტი ადგილის მასშტაბში ოპერირებს (საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი – 120 ადგილი, საპატრიარქოს უნივერსიტეტი – 124 ადგილი), რაც მიუთითებს მასობრივი განათლების მოდელის არსებობაზე.

თუმცა, პარალელურად, ამავე მიმართულებაში ფუნქციონირებს მრავალი პროგრამა, სადაც **ადგილების რაოდენობა მნიშვნელოვნად დაბალია** (20–50 ადგილი და ნაკლები). ეს განსაკუთრებით თვალსაჩინოა ინგლისურენოვან და სპეციალიზებულ პროგრამებში. შედეგად, ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულება არ წარმოადგენს ერთგვაროვან სისტემას; პირიქით, იგი აერთიანებს ორ პარალელურ მოდელს – მასობრივ და მცირე, ნიშურ პროგრამებს. აღნიშნული სტრუქტურა მიუთითებს „dual system“-ზე, სადაც ერთდროულად თანაარსებობს რაოდენობრივად ორიენტირებული პროგრამები და ხარისხზე/სპეციალიზაციაზე დაფუძნებული მოდელები. მნიშვნელოვან ტენდენციად უნდა განიხილებოდეს ინგლისურენოვანი პროგრამების განვითარება ბიზნესის ადმინისტრირების სფეროში. მონაცემები აჩვენებს, რომ ბიზნესის მიმართულება ერთ-ერთი ყველაზე ინტერნაციონალიზებულია, სადაც მრავალი უნივერსიტეტი სთავაზობს ინგლისურენოვან პროგრამებს (მაგ., კავკასიის უნივერსიტეტი, შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი, ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტი, ქართული-ამერიკული უნივერსიტეტი და სხვ.). ასეთი პროგრამები, როგორც წესი, მცირე სტუდენტურ ჯგუფებზეა გათვლილი და ხშირად დაკავშირებულია საერთაშორისო პარტნიორობებთან, რაც ზრდის მათ პრესტიჟს და ღირებულებას.

ინგლისურენოვანი პროგრამები ამ მიმართულებაში განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია, რადგან **ბიზნესის განათლება მაღალი ტრანსფერულობით გამოირჩევა** – იგი პირდაპირ უკავშირდება გლობალურ შრომის ბაზარს. სწორედ ამიტომ, უნივერსიტეტები აქტიურად იყენებენ ინგლისურენოვან პროგრამებს, როგორც საერთაშორისო სტუდენტების მოზიდვისა და ინსტიტუციური ინტერნაციონალიზაციის საშუალებას.

ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულების ანალიზში ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ასპექტია საფასო პოლიტიკის დიფერენციაცია, რომელიც მკვეთრად გამოხატავს ბაზრის სტრუქტურას. წარმოდგენილი მონაცემები აჩვენებს, რომ სწავლების საფასო სპექტრი იწყება დაახლოებით **2000 ლარიდან და აღწევს 21,500 ლარს**. ასეთ ფართო დიაპაზონში მკაფიოდ გამოიყოფა ოთხი ძირითადი სეგმენტი:

- **დაბალფასიანი სეგმენტი** (2000–3000 ლარი), რომელიც ძირითადად წარმოდგენილია საპატრიუაქროს, რეგიონულ და შედარებით მცირე უნივერსიტეტებში;
- **საშუალო სეგმენტი** ყველაზე მეტი უნივერსიტეტით(3000–6000 ლარი), რომელიც წარმოადგენს ბაზრის ძირითად ნაწილს და მოიცავს ისეთი უნივერსიტეტების პროგრამებს, როგორიცაა IBSU, GAU, ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტი, საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი, საქართველოს უნივერსიტეტი, გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი, ჯიპა და სხვა;
- **მაღალი სეგმენტი** (6000–9000 ლარი), რომელიც დამახასიათებელია უფრო რეპუტაციული ინსტიტუციებისთვის (კავკასიის უნივერსიტეტი, თავისუფალი უნივერსიტეტი, ბრიტანული უნივერსიტეტი და სხვ.);
- **პრემიუმ სეგმენტი** (10,000–21,500 ლარი), რომელიც დაკავშირებულია საერთაშორისო პარტნიორებთან და ორმაგი დიპლომის პროგრამებთან (მაგ., კავკასიის უნივერსიტეტისა, Webster-ის პროგრამები).

აღნიშნული სურათი მიუთითებს, რომ ბიზნესის ადმინისტრირების სფერო არის ერთ-ერთი ყველაზე **დივერსიფიცირებული საფასო პოლიტიკის თვალსაზრისით**. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ ფასსა და სტუდენტთა რაოდენობას შორის არსებობს მკაფიო კავშირი: მაღალი საფასოს მქონე პროგრამები, როგორც წესი, ხასიათდება მცირე კონტინგენტით (20–25 სტუდენტი), ხოლო დაბალი და საშუალო ფასის პროგრამები მოიცავს შედარებით დიდ ჯგუფებს (50–250 სტუდენტი).

ეს ტენდენცია ასახავს ეკონომიკურ ბაზისურ ლოგიკას — **მასობრივი პროგრამები ორიენტირებულია მოცულობაზე, ხოლო ელიტური პროგრამები ღირებულებაზე და ხარისხზე**. შესაბამისად, უნივერსიტეტები იყენებენ განსხვავებულ მოდელს იმის მიხედვით, თუ რა სეგმენტში სურთ პოზიციონირება.


სხვა მნიშვნელოვანი ასპექტი არის **პროგრამების შიდა სპეციალიზაცია**. ბიზნესის ადმინისტრირება აღარ შემოიფარგლება ზოგადი პროგრამით; იგი მოიცავს მრავალ ქვედარგს, როგორებიცაა მარკეტინგი, ფინანსები, მენეჯმენტი, ტურიზმი, ბიზნეს ანალიტიკა და მონაცემთა მეცნიერებები, ბუღალტერია, აუდიტი და აღრიცხვა, ლოჯისტიკა, ხელოვნური ინტელექტის გამოყენება ბიზნესში. ეს მრავალფეროვნება აჩვენებს, რომ უნივერსიტეტები ცდილობენ პროგრამების ადაპტირებას შრომის ბაზრის მოთხოვნებთან და საერთაშორისო ტენდენციებთან, თუმცა, ამავე დროს, ზრდის მიმართულების ფრაგმენტაციას.

შედეგად, ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულება შეიძლება შეფასდეს, როგორც **სტრუქტურულად დუალისტური და ბაზრულად დივერსიფიცირებული სისტემა**, რომელიც ერთდროულად პასუხობს როგორც ადგილობრივი, ისე საერთაშორისო მოთხოვნის ტენდენციებს.

პირველ რიგში, იგი ხასიათდება **რაოდენობრივი სიჭარბით და ფართო ხელმისაწვდომობით**, რაც ზრდის კონკურენციას კურსდამთავრებულებს შორის. მეორე მხრივ, ინგლისურენოვანი და მაღალი საფასოს მქონე პროგრამები ქმნის ელიტურ სეგმენტს, რომელიც ორიენტირებულია საერთაშორისო ბაზარზე და მაღალი მიღწევების სტუდენტებზე.

საბოლოოდ, ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულება არ უნდა გავიგოთ როგორც ერთიანი საგანმანათლებლო პროექტი; იგი წარმოადგენს კომპლექსურ ეკოსისტემას, სადაც თანაარსებობს მასობრივი განათლება, ნიშური სპეციალიზაცია და პრემიუმ საერთაშორისო პროგრამები. აღნიშნული მრავალშრიანი სტრუქტურა განსაზღვრავს არა მხოლოდ უნივერსიტეტების კონკურენტუნარიანობას, არამედ მთლიანად კერძო უმაღლესი განათლების სექტორის განვითარების მიმართულებებს.

## ბიზნესის ადმინისტრირების პროგრამის სწავლის გადასახადი




**სამართლის პროგრამები კერძო  
უმაღლეს საგანმანათლებლო  
დაწესებულებებში**



საქართველოს კერძო უმაღლესი განათლების სისტემაში სამართლის პროგრამები წარმოადგენს ერთ-ერთ ყველაზე სტაბილურ და სისტემურად ჩამოყალიბებულ საგანმანათლებლო მიმართულებას. სამართლის მიმართულება გამოირჩევა მაღალი სტუდენტური მოცულობით. საერთო ჯამში 1821 სტუდენტური ადგილი განაწილებულია 19 კერძო უნივერსიტეტზე, რაც მიუთითებს ფართო ინსტიტუციურ ჩართულობაზე და მაღალი მოთხოვნის არსებობაზე. თუმცა ამ რაოდენობრივ მასშტაბთან ერთად თვალშისაცემია არა მხოლოდ სისტემის სიდიდე, არამედ მისი შიდა სტრუქტურა.

ქვემოთ წარმოდგენილი გრაფიკი ასახავს სამართლის პროგრამებზე ადგილების განაწილებას უნივერსიტეტების მიხედვით:

ადგილების რ-ბა სამართლის პროგრამებზე უნივერსიტეტების მიხედვით




გრაფიკული სურათი ნათლად აჩვენებს, რომ სამართლის მიმართულება მნიშვნელოვნად არის კონცენტრირებული რამდენიმე ინსტიტუციაში, სადაც პროგრამების ზომა აღწევს 150–200 სტუდენტს. საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი (200 ადგილი), კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი (180 ადგილი) და კავკასიის უნივერსიტეტი (150 ადგილი) ქმნის სისტემის მასობრივ ბირთვს. ამ კონცენტრაციას მოყვება მეორე ჯგუფი – საშუალო ზომის პროგრამები (80–120 ადგილი), რომლებიც უკვე უფრო ფართო სპექტრის უნივერსიტეტებშია წარმოდგენილი (IBSU, Robakidze, EEU და სხვ.).

ამ მდგომარეობიდან გამომდინარე, მკაფიოდ იკვეთება, რომ სამართლის მიმართულებაში დომინირებს „**მასობრივი პროგრამის მოდელი**“, სადაც უნივერსიტეტები ორიენტირებული არიან დიდი რაოდენობით სტუდენტის მიღებაზე. განსხვავებით ბიზნესის ადმინისტრირების სფეროსგან, სადაც მკვეთრად თანაარსებობს მცირე და დიდი ჯგუფები, სამართალში მცირე კონტინგენტის პროგრამები შედარებით იშვიათია და სისტემის სტრუქტურაზე მნიშვნელოვანი გავლენა არ აქვს.

ამასთანავე, სამართლის პროგრამების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მახასიათებელია მათი **სტრუქტურული ჰომოგენურობა**. თითქმის ყველა პროგრამა გამოდის ერთიანი სახელით – „სამართალი“, რაც მიუთითებს, რომ **დარგი ნაკლებად დივერსიფიცირებულია** ქვედარგების მიხედვით. განსხვავებით ბიზნესის მიმართულებისგან, სადაც პროგრამები იშლება მარკეტინგად, ფინანსებად, ანალიტიკად და სხვა ქვედისციპლინებად, სამართალი რჩება უფრო „ერთიანი პროფილის“ საგანმანათლებლო პროდუქტად. ეს თავის მხრივ ამცირებს პროგრამებს შორის დიფერენციაციის შესაძლებლობას და ზრდის პირდაპირ კონკურენციას უნივერსიტეტებს შორის.

საფასო პოლიტიკის ანალიზი კიდევ უფრო ამყარებს სამართლის მიმართულების სპეციფიკას. მონაცემები აჩვენებს, რომ სწავლების საფასო დიაპაზონი მერყეობს დაახლოებით **2250 ლარიდან 7990 ლარამდე**, ხოლო საშუალო მაჩვენებელი 3819 ლარს შეადგენს. თუმცა ამ სპექტრის მიუხედავად, სამართლის ბაზარი არ არის მკვეთრად პოლარიზებული.

ქვემოთ წარმოდგენილი გრაფიკი ასახავს ფასისა და სტუდენტური ადგილების ურთიერთმიმართებას:



გრაფიკიდან ჩანს, რომ სამართლის პროგრამებში არ არსებობს მკაფიო კავშირი საფასურსა და პროგრამის ზომას შორის. მაღალი საფასოს მქონე პროგრამები (მაგ., კავკასიის უნივერსიტეტი ან თავისუფალი უნივერსიტეტი) ყოველთვის არ ხასიათდება მცირე ჯგუფებით, ხოლო დაბალი გადასახადის მქონე პროგრამები ხშირად ისეთივე დიდი ზომისაა, როგორც საშუალო ფასის მქონე პროგრამები. ეს გარემოება მიუთითებს, რომ სამართლის მიმართულებაში უნივერსიტეტების კონკურენცია ნაკლებად ეფუძნება ფასსა და „ელიტურობის“ ეკონომიკურ მოდელს და უფრო მეტად დამოკიდებულია ისეთ ფაქტორებზე, როგორიცაა:

- ინსტიტუციური რეპუტაცია
- ადგილობრივი ბაზრის მოთხოვნა
- გეოგრაფიული ხელმისაწვდომობა

სწორედ ამ მიზეზით, სამართლის პროგრამები ფუნქციონირებს, როგორც შედარებით „**სტაბილური და რეგულარული ბაზარი**“, სადაც უნივერსიტეტებს შორის განსხვავება არ ქმნის მკვეთრ ეკონომიკურ სეგმენტაციას. საბოლოოდ, სამართლის პროგრამები შეიძლება განვიხილოთ როგორც მაღალი მოცულობის, სტრუქტურულად სტანდარტიზებული და ეკონომიკურად საშუალო სეგმენტში კონცენტრირებული საგანმანათლებლო ბაზარი, რომელიც მნიშვნელოვნად განსხვავდება უფრო დინამიური და დივერსიფიცირებული მიმართულებებისგან.

**კომპიუტერული მეცნიერებები,  
საინფორმაციო ტექნოლოგიები,  
კიბერუსაფრთხოება, ელექტრონული  
ინჟინერია, ხელოვნური ინტელექტი**



ტექნოლოგიური მიმართულებები, მათ შორის კომპიუტერული მეცნიერებები, საინფორმაციო ტექნოლოგიები, ინფორმატიკა, ხელოვნური ინტელექტი, კიბერუსაფრთხოება და ელექტრონული ინჟინერია კერძო უმაღლესი განათლების სისტემაში წარმოადგენს ერთ-ერთ ყველაზე სწრაფად განვითარებად და მზარდ მიმართულებებს. ადგილების რაოდენობის მიხედვით ბიზნესის ადმინისტრირების შემდეგ მეორე ადგილზე გამოყოფილი ადგილების მიხედვით.

უპირველეს ყოვლისა, ტექნოლოგიური პროგრამები გამოირჩევა მნიშვნელოვანი, თუმცა არა სრულად კონცენტრირებული სტუდენტური მოცულობით. ერთის მხრივ, არსებობს აშკარა მასობრივი პროგრამები, მაგალითად, ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტში კომპიუტერული მეცნიერებების პროგრამაზე გამოყოფილია 250 ადგილი, შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტში – 127 ადგილი, ხოლო კავკასიის უნივერსიტეტში – 100 ადგილი. ამავე დროს, სისტემაში თანაარსებობს მრავალი მცირე პროგრამა (10–40 ადგილი), განსაკუთრებით საინჟინრო, კიბერუსაფრთხოების და ხელოვნური ინტელექტის მიმართულებებზე.

ტექნოლოგიურ მიმართულებაში თვალსაჩინოა **შიდა დივერსიფიკაცია**. პროგრამები მოიცავს არა მხოლოდ ზოგად კომპიუტერულ მეცნიერებას, არამედ ისეთ მიმართულებებს, როგორცაა ხელოვნური ინტელექტი, მონაცემთა ანალიტიკა, კიბერუსაფრთხოება, საინფორმაციო სისტემები და ელექტრონული ინჟინერია. ეს მიუთითებს, რომ ტექნოლოგიური განათლება მკვეთრად მიბმულია შრომის ბაზრის სპეციფიკურ მოთხოვნებზე და მუდმივად განიცდის ტრანსფორმაციას.

უნივერსიტეტი	პროგრამის დასახელება	ადგილების რ-ბა
შპს - კავკასიის უნივერსიტეტი	კომპიუტერული მეცნიერება	100
შპს - კავკასიის უნივერსიტეტი	კომპიუტერული მეცნიერება ინგლისურენოვანი	35
შპს - კავკასიის უნივერსიტეტი	კომპიუტერული მეცნიერებები (ინგლისურენოვანი ფერლი დიკინსონის უნივერსიტეტთან ერთობლივი	20
შპს - კავკასიის უნივერსიტეტი	კომპიუტერული მეცნიერებები და ხელოვნური ინტელექტი	35
შპს - თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი	კომპიუტერული მეცნიერება და მათემატიკა	64
შპს - თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი	ინჟინერია (ელექტრო და კომპიუტერული)	32

უნივერსიტეტი	პროგრამის დასახელება	ადგილების რ-ბა
შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი	კომპიუტერული მეცნიერებები	127
შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი	კომპიუტერული მეცნიერებები (ინგლისურენოვანი)	77
ალტე უნივერსიტეტი	კომპიუტერული მეცნიერებები	60
ალტე უნივერსიტეტი	კომპიუტერული მეცნიერებები ინგლისურენოვანი	20
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი	კომპიუტერული მეცნიერებები და ხელოვნური ინტელექტი	70
ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტი	კომპიუტერული მეცნიერებები ინგლისურენოვანი	15
საქართველოს უნივერსიტეტი	კომპიუტერული ინჟინერია	10
საქართველოს უნივერსიტეტი	კომპიუტერული მეცნიერებები	20
საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრიაა პირველწოდებული სახელობის უნივერსიტეტი	კომპიუტერული მეცნიერებები	100
საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი	კომპიუტერული მეცნიერება	30
საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი	კომპიუტერული მეცნიერება (ინგლისურენოვანი)	10
ახალი უმაღლესი სასწავლებელი ნიუნი	კომპიუტერული მეცნიერებები	40
ახალი უმაღლესი სასწავლებელი ნიუნი	კომპიუტერული მეცნიერებები (ინგლისურენოვანი)	10
ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტი	კომპიუტერული მეცნიერებები	250
ვებსტერ უნივერსიტეტის ინკ-ის ფილიალი საქართველოში	კომპიუტერული მეცნიერებები ინგლისურენოვანი	50
აგრარული უნივერსიტეტი	ელექტრული და კომპიუტერული ინჟინერია	52
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი	ინფორმაციული ტექნოლოგიები	60
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი	ინფორმაციული ტექნოლოგიები (ინგლისურენოვანი)	40
საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრიაა პირველწოდებული სახელობის უნივერსიტეტი	საინფორმაციო ტექნოლოგიები და კიბერუსაფრთხოება	100
საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი	ინფორმაციული ტექნოლოგიები	60
საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი	ინფორმაციული ტექნოლოგიები (ინგლისურენოვანი)	10
ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტი	საინფორმაციო ტექნოლოგიები	100
ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტი	ინფორმატიკა	20
საქართველოს უნივერსიტეტი	ინფორმატიკა ხელოვნური ინტელექტი	20

უნივერსიტეტი	პროგრამის დასახელება	ადგილების რ-ბა
შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტი	ინფორმაციული სისტემები ავიაციაში	80
შპს - კავკასიის უნივერსიტეტი	ელექტრონული ინჟინერია	40
შპს - კავკასიის უნივერსიტეტი	კიბერუსაფრთხოება (ინგლისურენოვანი)	35
შპს - კავკასიის უნივერსიტეტი	კიბერუსაფრთხოება (ინგლისურენოვანი ნიუ ჯერსი სითის უნივერსიტეტთან ერთობლივი)	20
გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი (თბილისი)	ხელოვნური ინტელექტი და პროგრამირება ბიზნესში (ინგლისურენოვანი)	10
გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი (თბილისი)	ხელოვნური ინტელექტი და პროგრამირება ბიზნესში	30
ალტე უნივერსიტეტი	ხელოვნური ინტელექტი და მონაცემთა ანალიტიკა	60
ალტე უნივერსიტეტი	ხელოვნური ინტელექტი და მონაცემთა ანალიტიკა ინგლისურენოვანი	20
საქართველოს უნივერსიტეტი	ელექტრონული კომუნიკაციების ინჟინერია	10
საქართველოს უნივერსიტეტი	კიბერუსაფრთხოება	15
<b>სულ ადგილების რაოდენობა:</b>		<b>1957</b>

სამართლის პროგრამებისგან განსხვავებით, სადაც ფასსა და სტუდენტთა რაოდენობას შორის მნიშვნელოვანი კორელაცია არ იკვეთება, ტექნოლოგიურ პროგრამებში ჩანს შედარებით უფრო კომპლექსური სურათი. მაღალი გადასახადის პროგრამები ხშირად დაკავშირებულია ინგლისურენოვან და საერთაშორისო პარტნიორებთან (მაგ., 21,500 £-იანი პროგრამები კავკასიის უნივერსიტეტში და Webster-ში), რომელთა სტუდენტური მოცულობა მცირეა (20–50 ადგილი). ამავდროულად, დაბალი და საშუალო საფასურის მქონე პროგრამები (~2500–5000 £) ხშირად ხასიათდება უფრო დიდი სტუდენტური ჯგუფებით. ეს მიუთითებს იმაზე, რომ ტექნოლოგიურ განათლებაში უკვე ფუნქციონირებს ეკონომიკური დიფერენციაციის მოდელი, რომელიც ნაწილობრივ ჰგავს ბიზნესის ადმინისტრირების სფეროს. საფასო პოლიტიკის თვალსაზრისით ტექნოლოგიური მიმართულებები შეიძლება შეფასდეს, როგორც მკვეთრად დივერსიფიცირებული ბაზარი. წარმოდგენილი მონაცემები აჩვენებს, რომ სწავლების საფასო დიაპაზონი მერყეობს დაახლოებით 2,250 ლარიდან 21,500 ლარამდე, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ ეს სფერო მოიცავს როგორც მასობრივ, ასევე პრემიუმ განათლების მოდელებს.

უნივერსიტეტი	პროგრამის დასახელება	სწავლის საფასური
შპს - კავკასიის უნივერსიტეტი	კომპიუტერული მეცნიერებები (ინგლისურენოვანი ფერლი დიკონსონის უნივერსიტეტთან ერთობლივი	21 500 ლ
ვებსტერ უნივერსიტეტის ინკ-ის ფილიალი საქართველოში	კომპიუტერული მეცნიერებები ინგლისურენოვანი	21 500 ლ
შპს - კავკასიის უნივერსიტეტი	კიბერუსაფრთხოება (ინგლისურენოვანი ნიუ ჯერსი სითის უნივერსიტეტთან ერთობლივი	21 500 ლ
შპს - კავკასიის უნივერსიტეტი	კომპიუტერული მეცნიერებები და ხელოვნური ინტელექტი	7 990 ლ
შპს - კავკასიის უნივერსიტეტი	კიბერუსაფრთხოება (ინგლისურენოვანი)	7 990 ლ
შპს - თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი	კომპიუტერული მეცნიერება და მათემატიკა	7 950 ლ
შპს - თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი	ინჟინერია (ელექტრო და კომპიუტერული)	7 950 ლ
შპს - კავკასიის უნივერსიტეტი	კომპიუტერული მეცნიერება	6 990 ლ
შპს - კავკასიის უნივერსიტეტი	კომპიუტერული მეცნიერება ინგლისურენოვანი	6 990 ლ
შპს - კავკასიის უნივერსიტეტი	ელექტრონული ინჟინერია	6 990 ლ
საქართველოს უნივერსიტეტი	კომპიუტერული ინჟინერია	5 000 ლ
საქართველოს უნივერსიტეტი	კომპიუტერული მეცნიერებები	5 000 ლ
საქართველოს უნივერსიტეტი	ინფორმატიკა ხელოვნური ინტელექტი	5 000 ლ
საქართველოს უნივერსიტეტი	ელექტრონული კომუნიკაციების ინჟინერია	5 000 ლ
საქართველოს უნივერსიტეტი	კიბერუსაფრთხოება	5 000 ლ
შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი	კომპიუტერული მეცნიერებები	4 990 ლ
შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი	კომპიუტერული მეცნიერებები (ინგლისურენოვანი)	4 990 ლ
გრიგოლ რობაქიის სახელობის უნივერსიტეტი (თბილისი)	ხელოვნური ინტელექტი და პროგრამირება ბიზნესში (ინგლისურენოვანი)	4 800 ლ
გრიგოლ რობაქიის სახელობის უნივერსიტეტი (თბილისი)	ხელოვნური ინტელექტი და პროგრამირება ბიზნესში	4 140 ლ
შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტი	ინფორმაციული სისტემები ავიაციაში	4 000 ლ
ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტი	კომპიუტერული მეცნიერებები	3 950 ლ
ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტი	საინფორმაციო ტექნოლოგიები	3 950 ლ
ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტი	კომპიუტერული მეცნიერებები ინგლისურენოვანი	3 900 ლ

უნივერსიტეტი	პროგრამის დასახელება	სწავლის საფასური
ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტი	ინფორმატიკა	3 900 ლ
საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი	კომპიუტერული მეცნიერება (ინგლისურენოვანი)	3 770 ლ
საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი	ინფორმაციული ტექნოლოგიები (ინგლისურენოვანი)	3 770 ლ
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი	ინფორმაციული ტექნოლოგიები (ინგლისურენოვანი)	3 500 ლ
ალტე უნივერსიტეტი	ხელოვნური ინტელექტი და მონაცემთა ანალიტიკა ინგლისურენოვანი	3 500 ლ
საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი	კომპიუტერული მეცნიერება	3 330 ლ
საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი	ინფორმაციული ტექნოლოგიები	3 330 ლ
აგრარული უნივერსიტეტი	ელექტრონული და კომპიუტერული ინჟინერია	3 250 ლ
ალტე უნივერსიტეტი	კომპიუტერული მეცნიერებები ინგლისურენოვანი	2 950 ლ
ახალი უმაღლესი სასწავლებელი ნიუნი	კომპიუტერული მეცნიერებები	2 950 ლ
ახალი უმაღლესი სასწავლებელი ნიუნი	კომპიუტერული მეცნიერებები (ინგლისურენოვანი)	2 950 ლ
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი	კომპიუტერული მეცნიერებები და ხელოვნური ინტელექტი	2 890 ლ
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი	ინფორმაციული ტექნოლოგიები	2 890 ლ
საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებული სახელობის უნივერსიტეტი	საინფორმაციო ტექნოლოგიები და კიბერუსაფრთხოება	2 650 ლ
ალტე უნივერსიტეტი	ხელოვნური ინტელექტი და მონაცემთა ანალიტიკა	2 550 ლ
საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებული სახელობის უნივერსიტეტი	კომპიუტერული მეცნიერებები	2 350 ლ
ალტე უნივერსიტეტი	კომპიუტერული მეცნიერებები	2 250 ლ

განსაკუთრებით აღსანიშნავია **ინგლისურენოვანი პროგრამების მაღალი წილი**. სამართლისგან განსხვავებით, ტექნოლოგიური მიმართულებები აქტიურად იყენებს ინგლისურენოვან პროგრამებს, რაც პირდაპირ უკავშირდება დარგის გლობალურ ბუნებას. კომპიუტერული მეცნიერება, კიბერუსაფრთხოება და საინფორმაციო ტექნოლოგიები წარმოადგენს სფეროებს, სადაც ცოდნა მაქსიმალურად ტრანსფერულია და არ არის მიბმული ერთ კონკრეტულ ეროვნულ კონტექსტზე. შესაბამისად, უნივერსიტეტები ამ პროგრამებს იყენებენ როგორც **საერთაშორისო სტუდენტების მოზიდვის და კონკურენტუნარიანობის ზრდის ინსტრუმენტს**.

# ფსიქოლოგია



